ავტორიტარული რეჟიმების

დიფუზია და რუსული

სახელმძღვანელო

EGI EUROPE GEORGIA INSTITUTE

INFORMATION INTEGRITY COALITION

მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრი

ავტორიტარული რეჟიმების დიფუზია და რუსული სახელმძღვანელო

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული კანონები კრიტიკოსების გასაჩუმებლად და ძალაუფლების გასამყარებლად.

კვლევის რედაქტორები:

ეკატერინე ბასილაია
გიორგი მელაშვილი

კვლევაზე მუშაობდნენ:

ეკატერინე ბასილაია, გიორგი მელაშვილი, მამუკა ანდღულაძე, რატი კობახიძე, შალვა ჩხეიძე, კონსტანტინე კობერიძე, გურამ ჯაჯანიძე, ივერი შაინიძე

სარჩევი

ძირითადი მიგნებები / შესავალი **4**
თავი 1: რუსეთის იმპერიალისტური მისწრაფებები და ავტორიტარიზმის ტალღა **5**
თავი 2: რას გულისხმობს ინიცირებული და მიღებული კანონები? **7**
საქართველო 8
რეპუბლიკა სერბსკა 9
ყირგიზეთი 10
სლოვაკეთი 11
თავი 3: დეზინფორმაცია, როგორც საზოგადოებრივი განწყობებით მანიპულირების ინსტრუმენტი **12**
- **„სამოქალაქო საზოგადოება, როგორც ბოროტმოქმედი“** **13**
1. საქართველო 14
2. სლოვაკეთი 15
3. ყირგიზეთი 16
4. რეპუბლიკა სერბსკა 17
- **„ეს არის დასავლური კანონი“** **18**
1. საქართველო 19
2. სლოვაკეთი 20
3. ყირგიზეთი 20
4. რეპუბლიკა სერბსკა 21
- **„სუვერენიტეტი დასავლეთის „ჩარევის“ წინააღმდეგ“** **22**
1. საქართველო 23
2. სლოვაკეთი 24
3. ყირგიზეთი 24
4. რეპუბლიკა სერბსკა 25
დასკვნა **26**

ძირითადი მიგნებები

- კონცეპტუალური და ფუნდამენტური მსგავსებები „უცხოეთის აგენტების“ შესახებ კანონებში საქართველოში, სლოვაკეთში, ბოსნია და ჰერცეგოვინას ფედერაციულ ერთეულ რეპუბლიკა სერბსკაში და ყირგიზეთში;
- კონცეპტუალური და ფუნდამენტური მსგავსებები ოთხივე შემთხვევაში მიღებულ კანონმდებლობასა და რუსეთში მიღებულ კანონმდებლობას შორის;
- კანონების ინიცირება ემსახურება რუსეთის ფედერაციის მოკლევადიან გეოპოლიტიკურ ინტერესებსა და გრძელვადიან სტრატეგიას და მიანიშნებს განხილული ქვეყნების/
- ფედერაციული ერთეულის მზარდ სტრატეგიულ დაახლოებაზე რუსეთთან;
- ოთხივე შემთხვევაში ხელისუფლებები და რუსეთი ერთმანეთის ნარატივებსა და პროპაგანდისტულ გზავნილებს სისტემურად და მიზანმიმართულად აძლიერებენ;
- „ავტორიტარული დიფუზია“ – ავტორიტარული რეჟიმები ერთმანეთისგან სწავლობენ;
- „ჰიბრიდული ომი“ – სამხედრო დონის პროპაგანდისტული ოპერაციების გან-ხორციელება.

შესავალი

დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორის მიმდინარე გლობალური დაპირისპირება არა მხოლოდ სამხედრო მიმართულებით, არამედ შეფარული, ჰიბრიდული მეთოდებითაც აქტიურად მიმდინარეობს. ამისი კარგი მაგალითია მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში დაინიცირებული რუსული სტილის კანონმდებლობები ე.წ. „უცხოეთის აგენტების“ შესახებ.

მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივები ემსახურება დემოკრატიული მმართველობის შესუსტებას და რუსული სტილის ავტოკრატიული რეჟიმების დამყარებას თუ კონსოლიდაციას. ნაშრომი მიმოიხილავს „უცხოეთის აგენტების“ შესახებ კანონების ინიცირების ოთხ კონკრეტულ შემთხვევას – საქართველო, სლოვაკეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინას რეპუბლიკა სერბსკა, და ყირგიზეთი.

სტატიაში წარმოდგენილია აღნიშნული კანონების და თანმდევი დეზინფორმაციული კამპანიების შედარება და ამ მოვლენების გეოპოლიტიკური კონტექსტი. ანალიზის გზით დგინდება კონკრეტული მახასიათებლები, რომლებიც ცხადყოფს, ერთი მხრივ, ავტოკრატიული რეჟიმების უნარს, გაიზიარონ ერთმანეთის მეთოდები საკუთარი რეჟიმების გასამყარებლად, მეორე მხრივ კავშირი ამ კანონმდებლობის ინიციირება/მიღებასა და რუსეთის საგარეო-პოლიტიკურ სტრატეგიას შორის.

თავი 1: რუსეთის იმპერიალისტური მისწრაფებები და ავტორიტარიზმის ცაღლა

2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია მთელი მსოფლიოსთვის, განსაკუთრებით ევროპისა და აშშ-ისთვის, მნიშვნელოვან გამოსაფხიზლებელ მოვლენად იქცა. წამყვანი დასავლური სახელმწიფოების ლიდერებმა მკაფიოდ დაინახეს ის, რაც აღმოსავლეთევროპული სახელმ-წიფოებისთვის წლებია ცხადი იყო - რუსეთი მიზანმიმართულად ცდილობს ჩამოშალოს თანამედროვე მსოფლიო წესრიგი, აღადგინოს საკუთარი იმპერია და მიაღწიოს სრულ დომინაციას საკუთარ სამეზობლოში.

რუსეთი ამ და მსგავსი იმპერიალისტური მიზნებითა და ამოცანებით უკვე საუკუნეების განმავლობაში ფუნქციონირებს. მისი ზოგადი გეოპოლიტიკური სტრატეგია არსებობის არცერთ ეტაპზე არ შეცვლილა, იქნებოდა ეს ცარისტული იმპერია, საბჭოთა კავშირი თუ თანამედროვე რუსეთი. იცვლება მხოლოდ რუსეთის ხელში არსებული რესურსები და შესაბამისად, რუსეთის უნარი, გავლენა მოახდინოს რეგიონულ და მსოფლიო პოლიტიკაზე. აქედან გამომდინარე, განსხვავებები სხვადასხვა პერიოდების რუსეთის იმპერიის ქცევაში აიხსნება არა იმდენად რუსეთის საგარეოპოლიტიკური ვექტორის ცვლილებით, არამედ მის ხელთ არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო რესურსების ცვლილებითა და ასევე გეოპოლიტიკური ფაქტორებით.

დასავლური სამყაროს ძირითადი ნაწილი ამ გარემოებას საკუთარი ყურადღების მიღმა ტოვებდა და რუსეთთან დასავლეთის ურთიერთობების დაგეგმვისას არ ითვალისწინებდა, რამაც ჯერ 2008 წელს საქართველოში, მოგვიანებით კი - 2014 და 2022 წლებში უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესია გამოიწვია. ამავდროულად, სამხედრო აგრესია არ არის ერთადერთი გზა, რითაც რუსეთი საკუთარ სამეზობლოში საკუთარი გავლენის გამყარებას ცდილობს.

სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია უკრაინაში ამჟამად მიმდინარე სამხედრო კონფლიქტის პარალელურად ყურადღების მიღმა არ დარჩეს რუსეთის მხრიდან სხვა, ნაკლებად ხილული, თუმცა არანაკლებ ეფექტიანი მეთოდების გამოყენება. ბოლო ორი წლის განმავლობაში სულ მცირე ოთხ სახელმწიფოში დაინიცირდა კანონი ე.წ „უცხოეთის აგენტების“ წინააღმდეგ. ეს ქვეყნებია: საქართველო, სლოვაკეთი, რეპუბლიკა სერბსკა (ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაციული ერთეული) და ყირგიზეთი.

ოთხივე სახელმწიფო წარმოადგენს რუსეთის ინტერესის ობიექტს. საქართველო და ყირგიზეთი უშუალოდ მდებარეობენ რუსეთის სამეზობლოში და ამ ტერიტორიებს რუსეთის ფედერაცია საკუთარი გავლენის სფეროებად აღიქვამს. ამასთანავე, ორივე მათგანს ჰქონდა, სხვადასხვა დოზით, მკაფიო მისწრაფებები დემოკრატი-ზაციისკენ,

ხოლო საქართველოს ბოლო ათწლეულების მანძილზე გააჩნია პროდასავლური ვექტორი, რისი საბოლოო მიზანიც საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციაა.

ბოსნია-ჰერცეგოვინა ასევე მდებარეობს რუსეთისთვის საინტერესო დასავლეთ ბალკანეთის რეგიონში. მასაც გააჩნია ევროპული მისწრაფებები, ხოლო რეპუბლიკა სერბსკა წარმოადგენს იმ პრობლემურ ფედერაციულ ერთეულს, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ბოსნია-ჰერცეგოვინას ევროკავშირში გაწევ-რიების პროცესის შესანელებლად. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელობაში, სწორედ ამ სახელმწიფოების დემოკრატიზაციისა და ბოლო ორის შემთხვევაში ევროპული ინტეგრაციის შეჩერება წარმოადგენს რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების აღსრულების ეფექტურ მექანიზმს და ამ რეგიონებში (დასავლეთ ბალკანეთში, აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთსა და ცენტრალურ აზიაში) საკუთარი გავლენის კიდევ უფრო მკაფიოდ გაძლიერების გზას.

ამ სამი ქვეყნისგან შედარებით განსხვავებულია სლოვაკეთი, რომელიც უკვე არის ევროკავშირისა და ნატოს წევრი სახელმწიფო, თუმცა მისი ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი - რობერტ ფიცო, ცნობილია მისი პრორუსული დამოკიდე-ბულებებით. სლოვაკეთში დემორატიისთვის ძირის გამოთხრა და ამით ევროკავშირისთვის დამატებითი კრიზისის შექმნა ასევე შედის რუსეთის საგარეოპოლიტიკურ ინტერესებში. ამ შედარებით მოკლევადიანი ამოცანების შესრულებით რუსეთი უფრო უახლოვდება საკუთარი გეოპოლიტიკური სტრატეგიის აღსრულებასაც; ეს კი გულისხმობს მის სურვილს, საბოლოოდ ძირი გამოუთხაროს დღეს არსებულ მსოფლიო წესრიგს, რომელიც ემყარება საერთაშორისო სამართალს, ადამიანის უფლებებსა და უფრო ზოგად გლობალურ დაშვებას, რომ დემოკრატია ავტორიტარიზმთან შედარებით მმართველობის გაცილებით უფრო მისაღები და ეფექტური ფორმაა.

ამასთანავე, ოთხივე შემთხვევაში ხელისუფლების სათავეში არიან პიროვნებები, რომლებიც ცნობილნი არიან ან პრორუსული სენტიმენტებით ან პირდაპირი კავშირებით რუსეთთან. მაგალითად, საქართველოს მმართველი პარტიის „საპატიო თავმჯდომარე“ ბიძინა ივანიშვილი რუსეთში გამდიდრებული ოლიგარქია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები საზო-გადოებაში არსებული პროდასავლური განწყობებიდან გამომდინარე ერიდებიან მკაფიოდ რუსეთის მხარდამჭერი განცხადებების გაკეთებას, მათ მიერ გაჟღერებული გზავნილები ნატოზე, რუსეთთან ფრენების აღდგენაზე, და სხვა არაერთ საკითხზე, მაინც მნიშვნელოვნად ემსგავსება რუსეთისთვის სასარგებლო, ხანდახან კი უშუალოდ რუსეთიდან გაჟღერებულ ნარატივებს. ყირგიზეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი ასევე მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული რუსეთთან. მისი პირველი სახელმწიფო ვიზიტი სწორედ მოსკოვში განხორციელდა, უკრაინასთან ომის კონტექსტშიც მან ოფიციალურად ნეიტრალური, თუმცა უფრო მეტად - პრორუსული პოზიცია დაიკავა. რეპუბლიკა სერბსკას ლიდერი - მილორად დოდიკი - ასევე ცნობილია მკაფიოდ პრორუსული განცხადებებით. უკრაინაში ომის შემდეგ, 2023 წელს, იგი პირდაპირ ამბობდა, რომ „რეპუბლიკა სერბსკა რჩება პრორუსული, ანტიდასავლური და ანტიამერიკული“. სლოვაკეთის პრეზიდენტი რობერტ ფიცო კი პოპულისტური პარტიის ლიდერია, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ანტი-უკრაინული და პრორუსული გზავნილების გავრცელებითაა ცნობილი.

ზემოაღნიშნულიდან ცხადი ხდება, რომ ამ სახელმწიფოებში რუსეთის მხრიდან საკუთარი იმპერიალისტური მიზნების აღსრულებისთვის შესაბამისი გარემო არსებობს. თითოეულ მათგანში ხელისუფლების სათავეში არიან პოლიტიკური ძალები, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა ტიპის კონტაქტები ან პოზიტიური დამოკიდებულებები რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში.

თავი 2: რას გულისხმობს დაინიცირებული და მიღებული კანონები?

ანალიზის შედეგად იკვეთება მკაფიო მსგავსება ე.წ. „უცხოეთის აგენტების“ შესახებ დაინიცირებულ კანონმდებლობებსა და საკანონმდებლო ცვლილებებში. ოთხივე სახელმწიფოს შემთხვევაში ხელისუფლების ხელში აღმოჩნდება ახალი, რეპრესიული და არაპროპორციული მექანიზმი მათთვის არასასურველი დემოკრატიული არასამთავრობო თუ მედიაორგანიზაციების საქმიანობის შესაზღუდად. აღნიშნულ კანონ-მდებლობებში გათვალისწინებულია რამდენიმე გზა ამ ფარული, თუმცა მარტივად შესამჩნევი მიზნის მისაღწევად.

პირველ რიგში, ეს არის სამოქალაქო საზოგადოების სტიგმატიზება და მათთვის „უცხოეთის აგენტის“ ან „უცხოეთის ინტერესების გამტარებლის“ იარლიყის მიწებება. ამას თან არაპროპორციული სანქციების აღსრულებითი მექანიზმი ერთვის, რომელიც, ფაქტობრივად, ხელისუფლების სურვილის შემთხვევაში შეუძლებელს გახდის ამა თუ იმ ორგანიზაციის საქმიანობას. საქართველოს შემთხვევაში ასეთს წარმოადგენს ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშების დაყადაღების შესაძ-ლებლობა, ყირგიზეთის, რეპუბლიკა სერბსკასა და სლოვაკეთის შემთხვევაში კი ახალი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვე-ვაში შესაძლებელი ხდება არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შეჩერება ან აკრძალვა. მესამე მნიშვნელოვანი მსგავსებაა ის, რომ ეს კანონმდებლობა სამოქალაქო სექტორსა და მედიას სრულად ან მნიშვნელოვანწილად მოიცავს.

თუკი რომელიმე ქვეყნის რედაქციაში დაკონკრეტებულია კანონმდებლობით რეგული-რებული საქმიანობები, ეს იმდენად ზოგადია, რომ მაინც შესაძლოა ნებისმიერ მნიშვნელოვან არასამთავრობო აქტორზე გავრცელდეს. აღსანიშნავია, რომ ეს სამივე ფაქტორი ასევე ეხმიანება რუსეთში მოქმედ კანონმდებლობას „უცხოეთის აგენტების“ შესახებ.

თითოეულ სახელმწიფოში ამ საკანონმდებლო ინიციატივებს მოჰყვა როგორც ადგილობრივი ორგანიზაციების პროტესტი, ასევე მნიშვნელოვანი საერთაშორისო რეაქცია სხვადასხვა პროფილური საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, აშშ-ის და ევროკავშირისგან. ეს რეაქციები, რომლებიც ხაზს უსვამს ამ სახელმწიფოებში დემოკრატიის უკუსვლასა და ადამიანის უფლებების შეზღუდვას, საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას შემთხვევაში ასევე ამ ქვეყნების ევროპული ინტეგრაციაზე ნეგატიურ გავლენას, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ამ ტიპის კანონების მიღებით რუსეთის გავლენები შესაბამის რეგიონებში მნიშვნელოვნად იზრდება, საფუძველი ეყრება რუსული ტიპის მმართველობას, რომელიც უზრუნველყოფს მოქმედი მმართველი პირების მიერ ხელისუფლების შენარჩუნებას, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაუქმებას. ამგვარად უფრო რეალური ხდება რუსეთის იმპერიალისტური მიზნების შესრულება, საქართველოსა და ყირგიზეთზე საკუთარი გავლენის საბოლოო

გამყარება, საქართველოსა და დასავლეთ ბალკანეთის ევროპული ინტეგრაციის შეყოვნება და სლოვაკეთის შეთხვევაში ევროკავშირის შიგნითვე კრიზისის დამატებითი კერის შექმნა.

ამ ეტაპისთვის „უცხოეთის აგენტების“ შესახებ კრემლისგან ინსპირირებული კანონმდებლობა მხოლოდ საქართველომ და ყირგიზეთმა მიიღეს, ხოლო ამ ეტაპისთვის „უცხოეთის აგენტების“ შესახებ კრემლისგან ინსპირირებული კანონმდებლობა მხოლოდ საქართველომ და ყირგიზეთმა მიიღეს, ხოლო რეპუბლიკა სერბსკასა და სლოვაკეთში ეს პროცესი სხვადასხვა მიზეზებით დროებით მაინც შეჩერებულია.

საქართველო

2023 წლის თებერვალში „ქართული ოცნებიდან“ ფორმალურად გამოყოფილმა გუნდმა „ხალხის ძალამ“ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი დააინიცირა, რომელიც უცხოური გავლენის აგენტების რეესტრის შექმნას ითვალისწინებდა. მოგვიანებით, იმავე „ხალხის ძალამ“ კიდევ ერთი კანონპროექტი წარადგინა, ამჯერად „უცხოური აგენტის აქტის რეგისტრაციის შესახებ“, რომელიც, მათი განმარტებით, ამერიკული კანონის „ზუსტ თარგმანს“ წარმოადგენდა.

მასობრივი პროტესტისა და აქციების, ასევე საერთაშორისო კრიტიკის შედეგად, მმართველი პარტია იძულებული გახდა გაეწვია ორივე კანონპროექტი, რომლებსაც მედიამ და სამოქალაქო საზოგადოებამ „რუსული კანონი“ შეარქვა მათი შინაარსისა და მიზნებიდან გამომდინარე.

საჯაროდ გაკეთებული განცხადებისა და დაპირების მიუხედავად, „ქართულმა ოცნებამ“ 2024 წლის 3 აპრილს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი უკან დააბრუნა.

კანონპროექტი ითვალისწინებს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელთა რეესტრის შექმნას, სადაც შევლენ ის იურიდიული პირები, რომელთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო „უცხოური ძალაა“.

„უცხო ძალად“ კი მიიჩნევა ყველა პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან არ არის დაფუძნებული საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. რეგისტრაციისთვის თავის არიდება ან საფინანსო დეკლარაციის დროულად წარუდგენლობა 25,000 ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს. ხარვეზების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ორგანიზაცია 10,000 ლარით დაჯარიმდება, გამეორების შემთხვევაში კი - 20,000 ლარით.

ჯარიმის დაკისრების მიუხედავად, ორგანიზაცია არ თავისუფლდება კანონით დადგენილი ვალდებულებისაგან და მას რეესტრში რეგისტრაცია მოუწევს. „უცხოეთის აგენტების“ კანონი დასმენის მექანიზმსაც ითვალისწინებს. მეორე მოსმენის შემდეგ კანონპროექტს დაემატა ცვლილება, რომელიც ფიზიკური პირების პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებს 5,000 ლარის ოდენობის ჯარიმის სახით იუსტიციის სამინისტროსათვის, მათ შორის, პერსონალური

და საიდუმლო ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში. 28 მაისს „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის, მიერ „რუსულ კანონზე“ დადებული ვეტო დაძლია.

რეპუბლიკა სერბსკა

2023 წლის 23 მარტს ბოსნია-ჰერცეგოვინის შემადგენლობაში შემავალი ფედერაციული ერთეულის რეპუბლიკა სერბსკას მთავრობამ დაამტკიცა კანონპროექტი არასამეწარმეო ორგანიზაციების საქმიანობის სპეციალური რეესტრისა და საჯაროობის შესახებ, რომელიც მიზნად სამოქალაქო საზოგადოების და უცხოური საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის დაფინანსების მიღების რეგულირების საკითხს შეეხება.

კანონპროექტის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციებს პოლიტიკური საქმიანობა ეკრძალება, ისინი სპეციალურ რეესტრში უნდა დარეგისტრირდნენ და მათ მიერ გამოქვეყნებულ მასალაში სპეციალური აღნიშვნა უნდა გაკეთდეს. ორგანიზაციებს ასევე ევალებათ დამატებით ანგარიშების წარდგენა, რომელიც ასოციაციებისა და ფონდების შესახებ არსებული 2001 წლის კანონით უკვე დადგენილია.

არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე ექვემდებარებიან ზედამხედველობისა და ინსპექტირების დამატებით სამართლებრივ რეჟიმს და მთელ რიგ სანქციებს კანონპროექტის დებულებების დარღვევისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის აკრძალვა.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში მითითებულია კანონპროექტის შემუშავების მიზეზები, მათ შორის, რეგულირების არარსებობა არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის საჯაროობის, მათი პოლიტიკური საქმიანობის, ანგარიშგების/აღრიცხვის ვალდებულებებისა და ზედამხედველობის შესახებ. განმარტებითი ჩანაწერი ასევე ეხება „არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის გამჭვირვალობას“.

წარმოდგენილი კანონპროექტი მკაცრი კრიტიკის საგანი გახდა. მიმდინარე წლის 28 მაისს ხელისუფლებამ კანონპროექტი გაიწვია. „რადგან სერბთა რესპუბლიკა ევროპული გზის ერთგულია, ჩვენ შევთანხმდით [კანონპროექტის] გაწვევაზე და ევროპის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობასთან და ევროპულ სამართლებრივ პრაქტიკასთან დამატებით ჰარმონიზაციაზე“, - დაწერა ბოსნიელი სერბების ლიდერმა დოდიკმა X-ზე.

აღსანიშნავია, რომ 2015 და 2018 წლებშიც იყო მცდელობა მსგავსი კანონმდებლობის მიღებისა, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით, თუმცა პოლიტიკური ზეწოლისა და კრიტიკის შემდეგ გაიწვიეს.

ყირგიზეთი

2023 წლის 19 მაისს ყირგიზეთის პარლამენტის 33-მა წევრმა საჯარო განხილვაზე წარადგინა კანონპროექტი „ყირგიზეთის რესპუბლიკის ცალკეულ საკანონმდებლო აქტებში ცვლილების შეტანის შესახებ“. ამ კანონპროექტის დებულებები იდენტურია 2022 წლის ნოემბერში წარმოდგენილი კანონპროექტის, გარდა იმ ნორმებისა, რომლებიც შემოთავაზებული იყო „იურიდიული პირების, ფილიალების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც აღარ იყო ძალაში. კანონპროექტმა საჯარო განხილვა გაიარა და პარლამენტის შესაბამისი პროფილის კომიტეტზე დაიწყეს განხილვა.

რუსეთის „უცხოეთის აგენტების“ კანონმდებლობის მსგავსად, ყირგიზეთის კანონი ავალდებულებს არაკომერციულ ორგანიზაციებს, რომლებიც იღებენ უცხოურ დაფინანსებას და რაც განმარტების თანახმად მიიჩნევა - პოლიტიკურ საქმიანობად, დარეგისტრირდნენ როგორც „უცხოეთის წარმომადგენლები“. კანონის თანახმად, არაკომერციულმა ორგანიზაციებმა თავიანთ პუბლიკაციებს უნდა დაურთონ შესაბამისი მითითება, იმის თაობაზე, რომ მასალა უცხოური ძალის წარმომადგენლის მიერაა შექმნილი ან გავრცელებული. ისინი ასევე უნდა დაემორჩილ ფინანსური ანგარიშგების ძვირადღირებულ მოთხოვნებს და სახელმწიფო ზედამხედველობას.

კანონი ანიჭებს იუსტიციის სამინისტროს უფლებას, ჩაატაროს არასამთავრობო ორგანიზაციების ინსპექტირება, ჩაერიოს მათ საქმეებში, ასევე შეაჩეროს მათი საქმიანობა საკუთარი შეხედულებისამებრ ექვს თვემდე ვადით, შემდგომი ლიკვიდაციის შესაძლებლობით სასამართლოში. კანონი ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის აკრძალვას თუ ისინი რეგისტრაციის გარეშე ოპერირებენ. მიმდინარე წლის 14 მარტს პარლამენტმა „აგენტების კანონი“ მიიღო, ხოლო 2 აპრილს ყირგიზეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა მას, რითაც ის ძალაში შევიდა.

თავად კანონის მიღება სერიოზული გამოწვევა იყო, თუმცა მისი მიღების შემდეგ არ ჩანს მისი განხორციელების მექანიზმების სიცხადე. იუსტიციის სამინისტრომ, რომელსაც ევალება კანონის აღსრულებაზე ზედამხედველობა, აღიარა, რომ გაურკვევლობაა მისი დებულებების ეფექტურად აღსრულებასთან დაკავშირებით. თავდაპირველ ვერსიაში გათვალისწინებული იყო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც, თუმცა ეს საბოლოო რედაქციაში ამოღებულ იქნა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცვლილება თითქოს ამსუბუქებს კანონს, ძალაში რჩება სადამსჯელო მექანიზმები, რომელთა გამოყენებითაც პრაქტიკაში შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეზღუდოს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების საქმიანობა.

მსგავსი კანონის მიღების მცდელობა ადრეც იყო ყირგიზეთში. ჯერ კიდევ 2013 წლის სექტემბერში, ყირგიზეთის რესპუბლიკის პარლამენტის ორმა წევრმა პარლამენტს წარუდგინა კანონპროექტი „ყირგიზეთის რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონ-მდებლო აქტში ცვლილებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“. კანონპროექტი საჯაროდ მოიხსენიებოდა, როგორც „უცხოეთის აგენტების შესახებ“ კანონპროექტი.

2016 წელს სამოქალაქო საზოგადოების საჯარო განხილვებისა და ადვოკატირების კამპანიების შემდეგ, პარლამენტმა მესამე მოსმენით კანონპროექტი აღარ მიიღო.

სლოვაკეთი

სლოვაკეთის მმართველი კოალიციის მიერ წარდგენილი კანონპროექტი 2024 წლის მაისში დაინიცირდა. არსებული პროექტის თანახმად არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ყოველწლიურად 5000 ევროზე მეტ დაფინანსებას იღებენ უცხოური წყაროებიდან ვალდებულნი არიან ყოველწლიურ ანგარიშში გაასაჯაროონ ყველა დონორის, შემომწირველისა და კრედიტორის ვინაობა და ეროვნება, რომელთა შემოწირულებები, შენატანები ან სესხები აღემატება წელიწადში 5000 ევროს.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომელთა წლიური შემოსავალი 50,000 ევროზე მეტია, უნდა წარუდგინონ წლიური ანგარიში შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელსაც შეუძლია დააჯარიმოს და გააუქმოს არასამთავრობო ორგანიზაციები, თუ ისინი არ შეასრულებენ ანგარიშგებისა და შესაბამისი მითითების ვალდებულებებს. ამ ეტაპზე ცვლილებების განხილვა 2024 წლის სექტემბრისთვის არის დაგეგმილი.

პრემიერ-მინისტრს, რობერტ ფიცოს, ჯერ კიდევ 2018 წელს ჰქონდა ანალოგიური კანონის მიღების ინიციატივა. ეს ინიციატივა წარმოიშვა ფართომასშტაბიანი სახალხო დემონსტრაციების შემდეგ, რომელიც მოჰყვა ჟურნალისტ იან კუციაკის და მისი საცოლის მარტინა კუშნიროვას მკვლელობას. დემონსტრაციების დროს რობერტ ფიცო ამტკიცებდა, რომ პროტესტის ტალღა ჯორჯ სოროსის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ იყო ორგანიზებული. საბოლოოდ, იგი იძულებული გახდა გადამდგარიყო პრემიერ-მინისტრის პოსტიდან.

თავი 3: დეზინფორმაცია, როგორც საზოგადოებრივი განწყობებით მანიპულირების ინსტრუმენტი

საქართველოში, სლოვაკეთში, რეპუბლიკა სერბსკასა და ყირგიზეთში რუსული სტილის „უცხოეთის აგენტების შესახებ“ კანონმდებლობების ინიცირების, განხილვის ან/და მიღების პერიოდები თანხვედრაშია ერთმანეთთან. გადავწყვიტეთ გავცნობოდით მათი ხელისუფლებების მიერ კანონთან დაკავშირებით გავრცელებულ დეზინფორმაციულ ნარატივებს. დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ მსგავსება მნიშვნელოვანია, რის შესახებაც ამ ნაწილში გაეცნობით.

2012 წლის მარტის საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე და „აგენტების კანონის“ ხელმოწერამდე რამდენიმე თვით ადრე რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა, დაადანაშაულა უცხოეთიდან დაფინანსებული ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია „უცხო ბატონების“ ინტერესების გატარებაში „სხვა ქვეყნების დესტაბილიზაციის მიზნით“.

ამასთანავე, პუტინი გამუდმებით ადანაშაულებდა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ ისინი აშშ-ის მთავრობას ეხმარებოდნენ რუსეთის შიდა საქმეებში ჩარევის პროცესში. „მედიის განვითარების ფონდის“ კვლევის „ანტიდასავლური პროპაგანდა 2022“ თანახმად, „სუვერენული დემოკრატიის“ კონცეფცია რუსეთში 2005 წლიდან ჩნდება. რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ყოფილი მრჩევლის ვლადისლავ სურკოვის თანახმად „სუვერენული დემოკრატიის“ კონცეფცია ორ მთავარ გზავნილს მოიცავს: 1. რუსეთი დემოკრატიული ქვეყანაა, 2. ამ ფაქტის ეჭვქვეშ დაყენება აღიქმება როგორც არამეგობრული ქმედება და რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევა.

ჩვენ გამოვყავით და შევისწავლეთ სამი მთავარი გზავნილი, რომელსაც ბოლო ორ-ნახევარი წლის განმავლობაში ჩვენთან და დანარჩენ შემთხვევებში ერთნაირად აჟღერებენ ხელისუფლებები.

„სამოქალაქო საზოგადოება, როგორც ბოროტმოქმედი“

„სამოქალაქო საზოგადოება, როგორც ბოროტმოქმედი“ არის ერთ-ერთი დეზინფორმაციული ნარატივი, რომელიც გასამართლებლად გამოიყენება. ხელისუფლებები ოთხივე სახელმწიფოში ცდილობენ სამოქალაქო საზოგადოება და დამოუკიდებელი მედიები არაკეთილსინდისიერ და გაუმჭვირვალე აქტორებად წარმოაჩინონ, რომელთა საქმიანობაც ზიანს აყენებს საზოგადოებებს.

ძირითადი ჰიპოთეზები:

- სამოქალაქო სექტორი ემსახურება უცხოურ ინტერესს ეროვნული ინტერესის საწინააღმდეგოდ;
- სამოქალაქო სექტორი არის გაუმჭვირვალე;
- სამოქალაქო სექტორი არის ეკლესიის წინააღმდეგ;
- სამოქალაქო სექტორი ეწევა ლგბტ+ პროპაგანდას;
- სამოქალაქო სექტორი ცდილობს საზოგადოების დესტაბილიზაციას;
- სამოქალაქო სექტორი ცდილობს საქართველო რუსეთთან ომში ჩაითრიოს;
- სამოქალაქო სექტორს აქვს პოლიტიკური მიზნები, თანამშრომლობს ოპოზიციასთან და ძირს უთხრის დემოკრატიულ სახელმწიფოსა და მთავრობას.

საქართველო

მმართველმა პარტიის დისკურსში სამოქალაქო სექტორის მიმართ უარყოფით რიტორიკა 2022 წლიდან განსაკუთრებით გაძლიერდა. უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის და რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის სანქციებთან შეერთებაზე უარის თქმის, 2022 წელს ქვეყნის მიერ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის ვერმიღების (განსხვავებით მოლდოვასა და უკრაინისგან) გამო და ოფიციალური პირების ღიად ანტიდასავლური და პრორუსული რიტორიკის ფონზე, მმართველი პარტიის საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია და ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი მწვავე კრიტიკის ობიექტი გახდა. იმავე წელს, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, მამუკა მდინარაძემ, საქართველოს ევროპული მისწრაფებების მხარდამჭერი მშვიდობიანი საპროტესტო აქციების საპასუხოდ განაცხადა, რომ „საქართველოში არიან უმდიდრესი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც გაცილებით მეტი დაფინანსება აქვთ. ვიდრე პარტიების უმეტესობას და ჩვენ ვნახეთ, ეს ყველაფერი საით არის მიმართული.... საბოლოოდ, შეგვიძლია ფაქტებზე დაყრდნობით დავასკვნათ, რომ ის ფული, რამდენიმე ათეული მილიონი, რომლითაც ეს არასამთავრობო ორგანიზაციები ფინანსდებიან, მიემართება სახელმწიფოს წინააღმდეგ...“.

„2012 წლიდან პრორუსული ძალები უფრო თავისუფლად ამბობენ თავიანთ სათქმელს; ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფებისთვის თავისუფლების მიცემით დაიწყო ამ ნარატივებთან ხალხის შეგუების ეტაპი. შემდეგ უკვე ნელ-ნელა ამან გადაინაცვლა პოლიტიკოსების პირდაპირ ნათქვამებში,“ ამბობს ლიკა ზაკაშვილი, ონლაინ გამოცემა “პუბლიკას” რედაქტორი.

“ქართულ ოცნებაში”, რომელიც იყო ეკლექტური თავისი შემადგენლობით, თავიდანვე გვესმოდა ცალკეულ პირებისგან მსგავსი გზავნილები; ძირითადი გზავნილები იყო შემდეგი: სოროსი და არასამთავრობოები გეგმავენ ფერად რევოლუციებს, ებრძვიან ეკლესიას, ტრადიციებს, თავს გვახვევენ უცხო ღირებულებებს და ისინი უცხოეთის ინტერესებს წარმოადგენენ და არა ქართველი ერისას. 2022 წლიდან „ქართული ოცნება“ და მასთან დაკავშირებული „ხალხის ძალაც გამოირჩევა ამ კუთხით“, ამბობს თამარ კინწურაშვილი, „მედიის განვითარების ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი.

2022 წლის ბოლოს, „ქართული ოცნებიდან“ ფორმალურად გამოყოფილმა „ხალხის ძალამ“ არასამთავრობო სექტორის დარეგულირება მოითხოვა და 2023 წლის თებერვალში კანონპროექტები წარადგინა. თუმცა, საზოგადოებრივი წინააღმდეგობის ფონზე „ქართულმა ოცნებამ“ კანონი გაიწვია.

„როდესაც მართალი ხარ და არაფრის გაფუჭება არ გაქვს განზრახული, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება არის საუკეთესო გზა მანკიერებისა და შეცდომების თავიდან ასარიდებლად. ჩემთვის სწორედ გამჭვირვალობა ნიშნავს ევროპულობას, გაუმჭვირვალობა კი - არაევროპულობას. უკიდურესად არაევროპულია, როდესაც გამჭვირვალობის მინიმალურ სტანდარტს გაურბიხარ და წლიური ფინანსური დეკლარაციის გამოქვეყნებაც კი არ გსურს. ასეთ დროს, აშკარაა, რომ რაღაცას აფუჭებ და ეს რაღაც გაქვს დასამალი“, - წერდა პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე უკვე 2024 წლის 3 აპრილს და არასამთავრობო სექტორის მიმართ უკვე დამკვიდრებული ამ ნეგატიური რიტორიკით აცნობდა საზოგადოებას „აგენტების კანონის“ შემობრუნებას.

„ქართული ოცნების“ ყველაზე მნიშვნელოვანი დეზინფორმაციული ნარატივი - რუსეთთან ომის შიში, რომელიც უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის დღიდან აქტიურად ფიგურირებს პოლიტიკოსების გამოსვლებში, გვხვდება კანონთან მიმართებაშიც. „2022 წელს „ენჯეოები“ ღიად შეუერთდნენ „მეორე ფრონტის” კამპანიას. ისინი [უკრაინაში] ომის დაწყებიდან პირველივე დღეებში ითხოვდნენ სანქციების დაწესებას [რუსეთისთვის]“, ამტკიცებდა პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე.

ასე აღწერა თბილისის მერმა და პარტია „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიასაშუალებების და დონორი ორგანიზაციების საქმიანობა 2024 წლის 16 მაისს: „პირველად იყო ოპოზიციის მხრიდან რევოლუციის მცდელობის, შემდეგ „ენჯეოების“, ამის შემდეგ იყო ჟურნალისტების რევოლუციის მცდელობა, დღეს, 2024 წელს გვაქვს დონორების“. საბოლოოდ „ქართულმა ოცნებამ“ უფრო დიდი შეთქმულების თეორიას დაუკავშირა კანონი, რომლის თანახმადაც ე.წ. „გლობალური ომის პარტიას აქვს გადამწყვეტი, კრიტიკული გავლენა ოფიციალურ სტრუქ-ტურებზე როგორც აშშ-ში, ასევე ევროკავშირში“, და რომელთა კარნახითა და დაფინანსებითაც მოქმედებს არასამთავრობო სექტორი.

არასამთავრობო სექტორის სტიგმატიზებისთვის „ქართული ოცნება“ ტრადიციული ღირებულებების დაცვას და ამ მოტივით არასამთავრობო სექტორის, როგორც თითქოსდა „ლგბტ პროპაგანდის“ გამავრცელებლის დარეგულირების საჭიროებას უსვამდა ხაზს, რისთვისაც კანონი იქნებოდა საუკეთესო საშუალება.

„ესეც ეკლესიის მაგინებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ [აქციაზე]... ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, აღვკვეთოთ ეკლესიის წინააღმდეგ პროპაგანდა და ყველა ის ნაბიჯი, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება,“ ამბობდა ირაკლი კობახიძე 2023 წელს.

სლოვაკეთი

სლოვაკეთში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი მედიის დემონიზაცია ახალი არ არის. სოციალ-დემოკრატიული პარტიის (Smer-SD) თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი რობერტ ფიცო, წლების განმავლობაში არასამთავრობო სექტორს, როგორც უცხო ძალების იარაღს წარმოაჩენდა და დასავლელ მოკავშირეებს თავს ესხმოდა.

„ძალიან დიდი ზეწოლა ხდება ჟურნალისტებზე, დამოუკიდებელ მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებსაც მოიხსენიებენ, როგორც ზედმეტად ლიბერალურს, ზედმეტად ევროპულს, ძალებად, რომელთაც მართავენ და აკონტროლებენ აშშ და ჯორჯ სოროსი“, - ამბობს ვერონიკა ფრანკოვსკა Demagog.sk-დან, ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციიდან.

სტრატეგიული ანალიზის ცენტრის ხელმძღვანელის, იან ცინგელის, თქმით გარდამტეხი პერიოდი სლოვაკეთში 2018 წელი იყო, როდესაც ფიცოს მოუწია თანამდებობიდან გადადგომა სამოქალაქო სექტორის ზეწოლის შედეგად, სლოვაკი გამომძიებელი ჟურნალისტის იან კუციაკის და მისი საცოლის გახმაურებული მკვლელობის შემდეგ. ფიცომ მაშინდელი პრეზიდენტი დაადანაშაულა თითქოსდა იგი

იგი „ჯორჯ სოროსთან ერთად მუშაობდა მთავრობის დესტაბილიზაციის მოსახდენად“. 2023 წელს ხელისუფლებაში ხელახლა მოსული ფიცო აცხადებდა: „ბოლო ხუთ-ათ წელიწადში არასამთავრობო ორგანიზაციები სლოვაკეთში საშინელ საქციელს სჩადიან და ბუნებაში ბალანსი არღვევენ“.

2024 წლის გაზაფხულზე, სლოვაკეთის ეროვნულმა პარტიამ, რომელიც არის უკიდურესი მემარჯვენე, პრორუსული პარტია და რომელთანაც სლოვაკეთის სოციალურ-დემოკრატიული პარტია კოალიციაშია, წარადგინა ცვლილებათა პაკეტი არასამთავრობო სექტორის შესახებ კანონში შესატანად, იგივე „აგენტების კანონი“.

არასამთავრობო ორგანიზაციებს ხშირად მოიხსენიებენ როგორც „პოლიტიკური“ მიზნების მქონე აქტორებს. „სინამდვილეში, არ არსებობს პოლიტიკური არასამთავრობო ორგანიზაცია... მაგრამ ისინი [ხელისუფლება] პოლიტიკურს უწოდებენ ისეთ ორგანიზაციებს [ვოჩდოგებს] რომლებიც მათ პოლიტიკას აკრიტიკებენ“, ამბობს “„იან კუციაკის საგამოძიებო ცენტრის“ მთავარი რედაქტორი ლუკას დიკო.

საბოლოოდ, კანონში შესატანი ცვლილებების განხილვა 2024 წლის შემოდგომამდე გადაიდო, რის მთავარ მიზეზადაც სახელდება პრემიერ-მინისტრის მკვლელობის მცდელობა.

ყირგიზეთი

ყირგიზეთში „უცხოეთის აგენტების კანონის“ განხორციელების ირგვლივ მიმდინარე დისკურსი და ადვოკატირების მცდელობები ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო ჩართულობის კონტექსტშია განსახილველი, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის დემოკრატიულ მდგრადობასა და გამჭვირვალობაზე.

2023 წლის 15 ოქტომბერს, პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას კანონპროექტის ერთ-ერთმა ინიციატორმა, პარლამენტის წევრმა ატა-ჟურტის პარტიიდან ნადირა ნარმატოვამ, რომელიც ცნობილია დასავლეთისადმი უარყოფითი განწყობებით, აღნიშნა, რომ ქვეყანაში მომხდარ სამ რევოლუციასა და ბუნტში დამნაშავე არასამთავრობო ორგანიზაციებიც არიან.

კანონის მიღებამდე, კანონპროექტის ავტორებმა გამოიყენეს კრემლის მსგავსი რიტორიკა და აცხადებდნენ, რომ კანონი, მიღების შემთხვევაში, მიმართული იქნებოდა მხოლოდ უცხოური დაფინანსების მიმღებ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც ახორციელებენ „პოლიტიკურ საქმიანობას“.

„სანამ მათ უცხოეთის აგენტის სტატუსს არ მივანიჭებთ, რესპუბლიკაში მშვიდობა არ იქნება. საზღვარგარეთიდან დაფინანსებული რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ხელისუფლებას არ ასვენებს; მათ თავად უნდათ ხელისუფლებაში მოხვედრა,“ - აცხადებდა დეპუტატი ნადირა ნარმატოვა 2022 წელს.

„მათი [არასამთავრობოების] მნიშვნელოვანი ნაწილი, მათი დამფუძნებელი დოკუმენტების საწინააღმდეგოდ, ერევა სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათ შორის დაფინანსების გზით,

ყირგიზეთის რესპუბლიკაში პოლიტიკური აქციების ორგანიზებისა და ჩატარების გზით ცდილობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას. სახელმწიფო ორგანოების მიერ ისეთი გადაწყვეტილებების მიღების წინააღმდეგ, რომლებიც ეწინააღმდეგება ქვეყნის მდგრადი განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის თანმიმდევრულობასა და მიზანმიმართულობას“, - ნათქვამია ყირგიზეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სარედაქციო შენიშვნაში.

„არასამთავრობო ორგანიზაციებს ხშირად უწოდებენ „მავნებლებს“ და უქმნიან ისეთ რეპუტაციას, თითქოს ისინი საზიანოა ხალხის ტრადიციული პრინციპებისა და მორალური ღირებულებებისთვის. ეს განსაკუთრებით ეხება სტერეოტიპს, რომ ჩვენს ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა არის არატრადიციული უმცირესობების და, კერძოდ, ლგბტ თემის მიმდევარი და წარმომადგენელი,“ ამბობს მურატ კარიპოვი, პროექტის უფროსი კოორდინატორი ადამიანის უფლებათა მოძრაობა “Bir Duino Kyrgyz-stan”-დან.

„...დასავლური იდეოლოგიის მქონე უცხოური ინსტიტუტები ხელს უწყობენ ლგბტ პირების პოპულარიზაციას...“, ამბობდა ნადირა ნარმატოვა 2022 წელს.

რეპუბლიკა სერბსკა

ბოსნია-ჰერცეგოვინაში „უცხოეთის აგენტების კანონის” შესახებ კანანონის მიღების ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა გამოკვეთა სერიოზული პრობლემები საკანონმდებლო, გეოპოლიტიკურ თუ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. მართალია, კანონის მიღება შეჩერდა, პერიოდულად ისმის ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადება მის შესაძლო განახლებასთან დაკავშირებით.

კანონის ინიცირების ერთ-ერთ არგუმენტად სახელდებოდა „რეპუბლიკა სერბსკას მთლიანობასა და კონსტიტუციაზე“ გავლენის მოხდენის მცდელობა ე.წ. პოლიტიკურად აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან და არასამთავრობო ორგანიზაციების „ბოროტად გამოყენების პრევენცია“.

„ძალიან ხშირად მათი [ხელისუფლების] ნარატივები გვეუბნება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები მიდრეკილნი არიან გაავრცელონ სიცრუე და თავს დაესხან რეპუბლიკა სერბსკას ხელისუფლებას, რომ მათი ფინანსები არ არის გამჭვირვალე. ეს ასე არაა, რადგან ყველა ამ ორგანიზაციას აქვს ვალდებულება ფინანსური ანგარიშები წარუდგინოს დონორებსა და სახელმწიფო უწყებებს“, ამბობს ჟურნალისტი ენეს ჰოჯიჩი, ბალკანეთის საგამოძიებო ჟურნალისტური ქსელის წევრი.

„არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც უკანონო ფინანსურ ნაკადებს იყენებენ სოციალური დესტრუქციის, დესტაბილიზაციისა და საბოლოდ ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსების მიზნით“, - ამტკიცებდა მილოშ ბუკეჟლოვიჩი, რეპუბლიკა სერბსკას იუსტიციის მინისტრი.

ექსპერტები ამბობენ, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით ნაკლები ძალისხმევა დასჭირდა ხელისუფლებას კანონმდებლობის გასატანად.

„ეს არის დასავლური კანონი“

ეს დეზინფორმაციული ნარატივი ფიგურირებს ოთხივე შემთხვევაში და გამოიყენება საზოგადოების თვალში კანონის რელე-ვანტურობის და დამაჯერებლობის გასაძლიერებლად. დაინიცირებული კანონმდებლობების აშშ-ის FARA-სთან მსგავსების ხაზგასმა ოთხივე ხელისუფლების ნარატივში გვხვდება. უნდა ითქვას, რომ FARA-ს სამიზნეს წარმოადგენდნენ ნაცისტები, ბოლშევიკები, ასევე ტერორისტები, თაღლითები, მექრთამეები და სხვა. განხილულ შემთხვევებში კი საკანონმდებლო ინიციატივები ვრცელდება სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებზე, რომლებიც ჩართულნი არიან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სოციალურ და სამოქალაქო აქტივობებში.

ძირითადი ჭვენარატივები:

- ეს კანონი ამერიკული „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის” (FARA) ანალოგია;
- ეს კანონი ევროდირექტივის მსგავსია;
- ეს კანონი კანადაში ინიცირებული კანონის მსგავსია;
- ეს კანონი საფრანგეთში ინიცირებული კანონმდებლობის მსგავსი.

საქართველო

მიუხედავად არაერთგზის კრიტიკისა, როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების, ექსპერტების და ოფიციალური პირების მხრიდან, რომ კანონი არ შეესაბამებოდა დასავლურ სტანდარტს, რომ მას ექნებოდა უარყოფითი ეფექტი საქართველოს და დასავლეთის ურთიერთობებზე, სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიაორგანიზაციებზე და ზოგადად საქართველოს მოსახლეობაზე, რომ კანონი იყო არაკონსტიტუციური და თავისი შინაარსით და მიზნით ჰგავდა რუსეთში მოქმედ კანონს, "ქართული ოცნების" დეპუტატები ამტკიცებდნენ რომ აღნიშნული კანონი იყო დასავლურის მსგავსი და მასზე უკეთესიც.

ჯერ კიდევ 2023 წელს ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ კანონი აშშ-ის „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის" მსგავსი იყო.

„FARA (Foreign Agents Registration Act) 1938 წელს მიიღეს ფაშისტების წინააღმდეგო, ფაშისტების წინააღმდეგ კი მიიღეს, მაგრამ დღესაც მოქმედებს „ფარას" კანონი დიდი წარმატებით. ერთ-ერთი აქტუალური კანონია აშშ-ში და შარშან პირდაპირი თარგმანი რომ

გააკეთა ხალხის ძალამ", ამტკიცებდა „ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი, მამუკა მდინარაძე, 2024 წლის აპრილში.

მმართველი პარტია კანონს ასევე „ევროპულს" უწოდებდა „ევროკავშირში უკვე ჩაშვებულია უფრო მკაცრი რეგულაციები ამ კანონის შესახებ, რასაც ახლა ვამუშავებთ და ვიღებთ და ევროკომისიას გავლილი აქვს და უახლოეს დღეებში, ევროპარლამენტარები უკვე მიაჭერენ და მიიღებენ,... დეფინიცია „უცხოური ძალა" რაც წერია ევროპულ კანონპროექტში, ზუსტად ისევეა გადმოღებული ჩვენთან..." ამტკიცებდა „ქართული ოცნების" წევრი, ირაკლი ზარქუა, პროსახელისუფლებო ტელეკომპანია „იმედის" ეთერში.

გარდა ევროპული და აშშ-ის კანონმდებლობისა, „უცხოეთის აგენტების" კანონი კანადაში წარდგენილ კანონმდებლობასთანაც შედარდა ტელეკომპანია „იმედის" ეთერში. საინფორმაციო გადაცემის წამყვანმა შემდეგნაირად წარადგინა კანადაში დაინიცირებული ე.წ. „უცხოეთის აგენტების" რეესტრის შექმნის შესახებ კანონპროექტი: „გამოცემა სიბისი წერდა, თითქოს უცხოეთის აგენტების კანონის რეესტრის წესების დამრღვევებს შესაძლოა მილიონობით დოლარის გადახდა მოუხდეთ ან ციხეში აღმოჩნდნენ". ჟურნალისტმა მოიშველია „ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერის, მამუკა მდინარაძის, ფეისბუკპოსტი, სადაც ნათქვამია, რომ „კანადაში არათუ უცხოური გავლენის ინტერესების გამტარებლებს, არამედ პირდაპირ აგენტებს უწოდებენ!".

მნიშვნელოვანია, რომ „ქართული ოცნება" ცდილობდა მოსახლეობა დაერწმუნებინა, რომ კანონი არ იყო რუსული სტილის. „ვერავინ მოიყვანს მაგალითს, რომ ჩვენ გადაგვედგას ნაბიჯი, რომელიც გაატარებდა რუსულ ინტერესს", წერდა პარტიის გენერალური მდივანი და თბილისის მერი კახა კალაძე 2024 წლის 16 მაისს. აღსანიშნავია, რომ კანონის ინიცირების კონტექსტის შეფასებისას და კანონპროექტის ანალიზის შედეგად არაერთმა ადგილობრივმა და უცხოელმა აქტორმა დაადასტურა, რომ მსგავსება იყო საქართველოში დაინიცირებულ და რუსეთში მიღებულ კანონებს შორის.

სლოვაკეთი

მიუხედავად არაერთგზის გაჟღერებული კრიტიკისა, რომ კანონი წინააღმდეგობაში მოდიოდა სლოვაკეთის კონსტიტუციასა და ევროპულ კანონმდებლობასთან, იყო შეფასებული როგორც დისკრიმინაციული, უნგრეთის მიერ მიღებულ და ევროპული სასამართლოს მიერ გაუქმებულ კანონმდებლობასთან და დარდებოდა რუსეთში წლების წინ მიღებულ კანონთან, მმართველი პარტია ამტკიცებდა, რომ ის დასავლურია თავისი არსით და მიზნებით.

„ეს არის ზუსტად იგივე კანონი, რაც ამერიკაშია," - ეს იყო ერთ-ერთი წამყვანი დეზინფორმაციული ნარატივი კანონპროექტის მომზადების პერიოდში, ამბობს ლუკას დიკო „იან კუციაკის საგამოძიებო ცენტრის" მთავარი რედაქტორი. „ეს საკანონმდებლო ცვლილება არა მხოლოდ ევროპულ კანონმდებლობას, არამედ სლოვაკეთის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება," ამატებს იგი.

„პირადად მე თუ მკითხავთ, ერთადერთი რასაც გავაკეთებ არის სიტყვასიტყვით გადმოვწერო კანონი, რომელიც მოქმედებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს ძალიან მარტივია, კანონი ამბობს, რომ სანამ არასამთავრობო ორგანიზაციები მოქმედებენ სლოვაკეთის ტერიტორიაზე, თუ ისინი საზღვარგარეთიდან ფინანსდება, მათ უნდა ჰქონდეთ უცხოეთის აგენტის სტატუსს. ეს არ არის ჩვენი კანონი, ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების კანონი," ამბობდა ფიცო 2023 წლის შემოდგომაზე.

ყირგიზეთი

პრეზიდენტი ჟაპაროვი პარალელს ავლებდა ყირგიზულ კანონსა და ამერიკის შეერთებული შტატების "უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტს" (FARA) შორის და მიანიშნებდა მსგავსებებზე, მათ შორის, არსებული გამოწვევების გადასაჭრელად.

„მოგეხსენებათ, FARA ითვალისწინებს უცხოური აგენტის სტატუსს არა მხოლოდ მასმედიის, არამედ სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებსაც. რეგისტრაციაზე დაგვიანება ან უარი გამოიწვევს არა მხოლოდ ადმინისტრაციულ, არამედ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ამიტომ ჩნდება კითხვა, რატომ არ შეგვიძლია ამის გაკეთება?", - განაცხადა პრეზიდენტმა ჟაპაროვმა.

რეპუბლიკა სერბსკა

მთავრობის წარმომადგენლები იცავდნენ შემოთავაზებულ კანონს და ხაზს უსვამდნენ მის შესაბამისობას დასავლურ საკანონმდებლო ჩარჩოებთან. ოფიციალური პირების განცხადებით კანონის მიღების წყაროდ აშშ-ის FARA და კანადის კანონი იყო, შესაბამისად ხელისუფლება არ იზიარებდა მოსაზრებას, რომ აღნიშნული კანონის ინსპირაცია რუსეთში მიღებული კანონი იყო.

„ამერიკის შეერთებული შტატები თავის კანონში უწოდებს უცხოურ არასამთავრობო ორგანიზაციებს ან უცხოელთა მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციებს უცხოელ აგენტებს ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. ჩვენ ავიღებთ მთელ ამ ტერმინოლოგიას და შემოგთავაზებთ ამ კანონს. მხოლოდ იმის ნაცვლად, სადაც წერია „ამერიკის შეერთებული შტატები“, დაიწერება „რეპუბლიკა სერბსკა“, სადაც წერია „აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო“ დაიწერება „რეპუბლიკა სერბსკას“, ნება მომეცით გავიგო რას იტყვიან ამაზე ამერიკელები“, - თქვა მილორად დოდიკმა.

კანონის გამოწვევის შემდეგ, რეპუბლიკა სერბსკას პრეზიდენტი აცხადებდა, რომ გამოწვევის მიზეზი სამომავლოდ მისი ევროპულ კანონმდებლობასთან უკეთ ჰარმონიზება იყო.

„სუვერენიტეტი დასავლეთის „ჩარევის“ წინააღმდეგ“

სუვერენიტეტისა და დასავლური „ჩარევის“ დაპირისპირება ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ნარატივია, რომელიც გვხვდება ოთხივე შემთხვევაში.

ძირითადი ჟვენარატივები:

- ჩაურევლობა შიდა საქმეებში;
- „გლობალური ომის პარტია“ და „მეორე ფრონტი“;
- ჩვენ თქვენს ნაცვლად ვიბრძვით;
- ჩვენ დაგიცავთ მავნე გავლენებისგან.

საქართველო

მმართველი პარტიის მხრიდან კანონთან დაკავშირებით დასავლელი პარტნიორების კრიტიკის მიუღებლობის გამართლება ხშირად ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვის საჭიროების მოშველიებით ხდება. კანონი განიხილება სუვერენიტეტის განმტკიცების ერთ-ერთ მექანიზმად.

„ქვეყნის უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანომ, რომელიც ქართველი ხალხის მიერ არის არჩეული და მხოლოდ ქართველი ხალხის წინაშე არის ანგარიშვალდებული, იმოქმედა სწორედ ქართველი ხალხის ნების შესაბამისად და შექმნა სამართლებრივი საფუძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განსამტკიცებლად“, აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ პარლამენტის მიერ კანონის მიღების დღეს.

„ნებისმიერ კრიტიკა, რომელიც ეხება შიდა დემოკრატიულ პროცესს, აღიქმება ჩარევად შიდა საქმეებში და ჩნდება გზავნილი, რომ მოსკოვის დაქვემდებარებაში ყოფნა ჩაანაცვლა ამერიკის ან ევროკავშირის დიქტატურამ. ზოგადად, ავტოკრატიებს ახასიათებს ეს, ისინი საფრთხეს ხედავენ დემოკრატიაში და დემოკრატიულ ინსტიტუტებში“, ამბობს თამარ კინწურაშვილი „მედიის განვითარების ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი.

„ეს კანონპროექტი უმნიშვნელოვანეს წვლილს შეიტანს საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცებაში. გარდა ამისა, ეს კანონპროექტი უმნიშვნელოვანეს წვლილს შეიტანს პოლიტიკური უმცირესობის იმგვარი ძალადობრივი ქმედებების პრევენციაში, როგორიც გუშინ ვიხილეთ,“ თქვა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ.

„გაძლევთ პირობას, რომ ყველა წინააღმდეგობას გადავლახავთ, სუვერენიტეტსაც განვიმტკიცებთ, მშვიდობასაც შევინარჩუნებთ, ქართულ ეკონომიკასაც გავაძლიერებთ და 2030 წელს გავხდებით ევროკავშირის წევრი ქვეყანა“, - განაცხადა „ოცნების” საპატიო თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა 29 აპრილს გამართულ „ქართული ოცნების“ აქციაზე. აქვე ივანიშვილმა ახსენა ე.წ. „გლობალური ომის პარტია“, რომელიც საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნას ცდილობს. სუვერენიტეტის დაცვა, შიდა საქმეებში ჩაურევლობა გამოიყენება ხელისუფლების და მასთან აფილირებული ჯგუფების მიერ რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსეთისთვის სანქციების დაწესების მოთხოვნასთან მიმართებითაც.

„შეგახსენებთ, რომ სწორედ ასეთივე უხეში ფორმით ითხოვდით რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებისთანავე, დაგვეწესებინა სანქციები რუსეთისათვის და ერთი ხელის მოსმით გაგვეწყვიტა ყველანაირი ეკონომიკური და სავაჭრო კონტაქტები, მაგრამ ეს არ გავაკეთეთ“, პარტია „ხალხის ძალა“ 20 ივნისს IPN-თან აშშ-ის ელჩის რობინ დანიგანის ინტერვიუს საპასუხოდ წერდა.

სლოვაკეთი

ხელისუფლებაში მოსვლისთავნავე სლოვაკეთის ახალმა ხელისუფლებამ განაცხადა საკუთარი ხედვა საგარეო პოლიტიკის შესახებ, რაც გულისხმობდა ე.წ. „სლოვაკეთის სუვერენულ საგარეო პოლიტიკას", რომლის ფარგლებშიც ქვეყანა ითანამშრომლებდა მსოფლიოს „ოთხივე მხარესთან".

„თქვენ მოისმენთ სუვერენული სლოვაკეთის ხმას სლოვაკეთის სამინისტროებიდან და იხილავთ სუვერენული სლოვაკეთის საგარეო პოლიტიკას", - ამბობდა პრემიერ-მინისტრი რობერტ ფიცო 2023 წელს და ხაზს უსვამდა, რომ არ აპირებდა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მხარდაჭერას იქამდე, ვიდრე ამ სანქციების შესახებ ანალიზი არ იქნებოდა ხელმისაწვდომი.

სლოვაკეთის ფილანტროპიის ცენტრის გამგეობის წევრი ბორის სტრეჩანსკი ამბობს, რომ როდესაც სლოვაკეთის მთავრობის წარმომადგენლები საუბრობენ საგარეო პოლიტიკის ორიენტაციაზე „ოთხივე მიმართულებით", ნიშნავს, რომ „დღეს სლოვაკეთის საგარეო პოლიტიკისთვის მისაღებია რუსეთთან ურთიერთობების გააქტიურება, მაშინაც კი, როდესაც რუსეთი გვთვლის მტრად და ჩვენი მოკავშირეები - ევროკავშირი და NATO ზღუდავენ რუსეთთან ურთიერთობას".

„ამჟამინდელი მთავრობა მიიჩნევს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები სლოვაკეთში არიან დასავლური ორიენტაციის, მათ შორის ლიბერალურო და პროგრესული იდეოლოგიების შემომტანები, რაც არ არის კარგი სლოვაკეთისთვის. მთავრობის სიტყვებით, არასამთავრობო ორგანიზაციები არიან პროგრესული და ლიბერალური, რომლებიც მისდევენ უცხო ინტერესებს და კულტურულ ელემენტებს, რომლებიც უცხოა სლოვაკეთის კულტურისთვის", ამბობს სტრეჩანსკი.

ყირგიზეთი

ყირგიზეთის პრეზიდენტმა სადირ ჟაპაროვმა უხეშად უპასუხა ა.შ.შ.-ს სახელმწიფო მდივანს ენტონი ბლინკენს რუსეთის "უცხოეთის აგენტების" კანონის მსგავსი საკანონმდებლო ცვლილებების გამო გამოთქმულ შეშფოთებასთან დაკავშირებით. პრეზიდენტი ჟაპაროვი ამტკიცებდა, რომ კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს არასამთავრობო ორგანიზაციებს "უცხოეთის აგენტებად", ეხმიანება ლეგიტიმურ შეშფოთებას სახელმწიფო ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით.

პრეზიდენტის მტკიცებით, სახელმწიფო მდივანმა საკუთარი შეფასებები ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული "ყალბი და არასწორი" ინფორმაციის საფუძველზე გააკეთა.

„სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ თქვენი წერილის შინაარსს აქვს ჩვენი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის ნიშნები", - მიმართავდა პრეზიდენტი სადირ ჟაპაროვი აშშ-ის სახელმწიფო მდივანს.

რეპუბლიკა სერბსკა

მილორად დოდიკის მთავრობა გამუდმებით ხაზს უსვამს რეპუბლიკა სერბსკაში ავტონომიის და სუვერენიტეტის არარსებობას, რაც მისი სიტყვებით, გამომდინარეობს იქიდან, რომ უცხოელი პარტნიორები ერევიან მის შიდა საქმეებში.

“მე ვეთანხმები, რომ ბოსნია და ჰერცეგოვინა არ არის სუვერენული, დასავლეთისადმი დამორჩილებული ბოსნიური პოლიტიკის გამო”, - აცხადებდა პრეზიდენტი მილორად დოდიკი.

ამასთანავე, გასული წლის მაისში, პუტინთან შეხვედრისას დოდიკმა განაცხადა, რომ „რეპუბლიკა სერბსკა რჩება პრორუსული, ანტიდასავლური და ანტიამერიკული“.

დასკვნა

სტატიაში მიმოხილულია ოთხი კონკრეტული შემთხვევა, სადაც დაინიცირდა რუსული სტილის კანონმდებლობა ე.წ. „უცხოეთის აგენტების“ შესახებ. მიმოხილვაში წარმოდგენილია როგორც პროცესების ანალიზი და გეოპოლიტიკური პერსპექტივა, ასევე ის კონკრეტული დეზინფორმაციული ნარატივები, რაც ამ კანონმდებლობების ინიცირებას თუ მიღებას ახლდა.

შედარებითი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა მკაფიო მსგავსებები ამ სხვადასხვა, თუმცა ერთმანეთთან დაკავშირებულ ასპექტს შორის:

1. ოთხივე სახელმწიფოში ინიცირებული კანონპროექტი ერთმანეთის მსგავსია - შეიცავს სამოქალაქო სექტორის სტიგმატიზირების, აღმასრულებელი ხელისუფლების არაპროპორციული მექანიზმებით აღჭურვის ელემენტებს და მოიცავს არასამთვრობო სექტორს სრულიად ან მის მნიშვნელოვან ნაწილს;

2. ოთხივე კანონპროექტი ინსპირირებულია რუსეთში მოქმედი კანონისგან - იკვეთება მკაფიო მსგავსებები, როგორც იარლიყის მიწებებას, ასევე აღსრულების მექანიზმებს შორის;

3. ოთხივე კანონპროექტის ინიცირებამდე, ინიცირებისა თუ მიღების პარალელურად, ხელისუფლებებმა მსგავსი დეზინ-ფორმაციული ნარატივები გამოიყენეს საზოგადოებრივი განწყობების მანიპულირების მიზნით;

4. ამ კანონების ამოქმედებით ოთხივე ქვეყანაში მიიღწევა რუსეთის საგარეოპოლიტიკური ამოცანები - საქართველოსა და ყირგიზეთში დამყარდება რუსული ტიპის ავტოკრატიული მმართველობა, რომლის შედეგადაც ჩაიხშობა თავისუფალი, სამოქალაქო საზოგადოება. ასეთ შემთხვევაში, რუსეთისთვის გაცილებით უფრო მარტივი იქნება სამომავლო საინფორმაციო თუ სხვა ტიპის ჰიბრიდული კამპანიების წარმოება. საქართველოს შემთხვევაში, ამას თან ერთვის მისი ევროპული მომავლის საბოლოო საბოტაჟი; თუკი რესპუბლიკა სერბსკაში ეს კანონი ამოქმედდება ბოსნია-ჰერცეგოვინას ევროკავშირში ინტეგრაცია მნიშვნელოვნად შეყოვნდება, რასაც გავლენა ექნება მთლიანად დასავლეთ ბალკანეთის რეგიონის ევროპულ ინტეგრაციაზე. ეს კი მნიშვნელოვანია რუსეთისა და სერბეთის ურთიერთობებისა და ზოგადად, ამ რეგიონში რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე. ხოლო სლოვაკეთში ამ კანონის ამოქმედება გამოიწვევს უნგრეთთან ერთად კიდევ ერთი პრობლემური სახელმწიფოს არსებობას ევროკავშირის შიგნით და კრიზისის დამატებითი კერის გაჩენას.

ოთხ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებს შორის ეს ოთხი მსგავსება ცხადყოფს, ერთი მხრივ, ავტოკრატიული რეჟიმების უნარს შეისწავლონ ერთმანეთის გამოცდილება და გამოიყენონ სხვა ქვეყანაში ნაცადი მექანიზმები მათ სახელმწიფოებში დემოკრატიული სივრცეების ჩასახშობად, მეორე მხრივ, ამ პროცესების სრულ თანხვედრას რუსეთის საგარეოპოლიტიკურ როგორც მოკლევადიან ამოცანებთან, ასევე გრძელვადიან ხედვასა და სტრატეგიასთან.